



ძვირფასო მკითხველებო!

ეს გახლავთ ელექტრონული ბიულეტენი, რომელსაც მედიის განვითარების ბალტიის ცენტრი (BCME) ამზადებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დამოუკიდებელი მედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მასში, თავს ვუყრით ყველა საგრანტო განაცხადს და ასევე, სხვა ფინანსურ შესაძლებლობებს უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ბელორუსის მედიებისათვის.

გვსურს, რომ ამ ბიულეტენმა შეგიმსუბუქოთ დონორების დაფინანსებაზე წვდომა, გაგიმარტივოთ ინფორმაციის მოძიება და ფინანსების მოკრება/ფანდრაიზინგი გახადოს უფრო ეფექტური. კატეგორიაში „დაფინანსების სიახლეები“ იპოვით უახლეს საგრანტო განაცხადებს.

BCME იმედოვნებს, რომ ეს პუბლიკაცია შეიტანს საკუთარ წვლილს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მედიებისა და დონორების დიალოგში, რეგიონის მედია ლანდშაპტის მეტი მრავალფეროვნებისთვის.

თუ კი გაქვთ სურვილები, რეკომენდაციები ან უბრალოდ შთაბეჭდილებები ბიულეტენტან დაკავშირებით, გაგვიზიარეთ მისამართზე: info@baltic.media.

ვეცდებით მეტს თქვენთვის !

პატივისცემით,
Funds4Media ბიულეტენის შემდგენები

1. Artdocfest/Riga 2020 დოკუმენტური პროექტების შერჩევა
2. გრანტები ფაქტჩეკინგისთვის International Fact-Checking Network-გან
3. მედიის მხარდაჭერის გრანტები NED-საგან
4. მიგრაციის, მრავალფეროვნების და სოციალური ინტეგრაციის თემაზე შექმნილი ფილმების ფესტივალი
5. მიგრაციის შესახებ შექმნილი ფილმების ფესტივალი
6. Youth4Regions ევროკავშირის პროგრამის ახალი შესაძლებლობები ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის
7. ADAMI Media Prize 2020
8. ფოტოკონკურსი IPA იწყებს განაცხადების მიღებას
9. Oxygen Project ეკოლოგიური საკითხებით დაინტერესებული ჟურნალისტებისათვის
10. პულიცერის ცენტრის გრანტები კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის გასაშუქებლად
11. ინიციატივა Artists Against an #Infodemic იღებს ვიზუალურ კონტენტს
12. სასტიპენდიო პროგრამა გერმანიაში
13. თანამშრომლობის ხაზი COVID-19
14. საგრანტო კონკურსი Black Sea Trust for Regional Cooperation-საგან COVID-19-ის საპასუხოდ
15. პანდემიის გავლენები ადგილობრივ თემზე - საგრანტო პროექტები National Geographic -გან
16. პანდემიის დროს ჟურნალისტების უსაფრთხოების კურსი Thomson Foundation-საგან
17. IWMMF-ის ფინანსური მხარდაჭერა
18. ჭგუფი COVID-19 და მედია

შეძელით თუ არა ჩვენ მიერ მოწოდებული შესაძლებლობების გამოყენება?
გთხოვთ, მოგვწერეთ info@baltic.media ან **შეავსეთ მოკლე კითხვარი**
<https://bit.ly/2XkyFNN> (რუსულ ენაზე), <https://bit.ly/2XMclCI> (ინგლისურ ენაზე)
თქვენი გამოხმაურება დაგვეხმარება ამ საქმიანობის გაგრძელებაში!

1. **Artdocfest/Riga 2020 დოკუმენტური პროექტების შერჩევა**

გეოგრაფია: ყოფილი სსრკ-ს ქვეყნები

ფესტივალი Artdocfest და Baltic Sea Forum for Documentaries (BSD) იღებს განცხადებს დოკუმენტური პროექტებისათვის. განაცხადებიდან საუკეთესო ათს ექსპერტები შეარჩევენ. შერჩეულთაგან ნაწილი ჩაერთვება მთავარ სესიაში BSD და წარედგინება ევროპელ პროდიუსერებს. შერჩეული პროექტების ავტორების რიგში გამგზავრების და ცხოვრების ხარჯებს აფინანსებენ ორგანიზატორები. საუკეთესო პროექტი დაჯილდოვდება Artdocfest/Riga დიპლომით და ფულადი პრემიით ფესტივალის გენერალური პარტნიორისგან - ტელე არხისაგან "ნამდვილი დრო".

დანვრილებით: <https://bit.ly/2BrO5Y5>

ვადა: 15 ივნისი, 2020 წ.

2. **გრანტები ფაქტჩეკინგისთვის International Fact-Checking Network-გან**

გეოგრაფია: მსოფლიო

Poynter საერთაშორისო ფაქტჩეკინგის ქსელი (International Fact-Checking Network) იღებს საგრანტო განაცხადებს Fact-Checking Development Grant.

განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ორგანიზაციებს, რომლებიც მინიმუმ ბოლო სამი თვის განმავლობაში უწყვეტად აქვეყნებდნენ მასალებს ფაქტების მიუკერძოებელი გადამოწმების საფუძველზე.

პროგრამა ღიაა ფაქტჩეკინგის კარგი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებისათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან ვიდეოსთან დაკავშირებული პროექტების რეალიზებით, ახალი ინსტრუმენტების შექმნით და ახალი ფორმატების გატესტვით.

გრანტების მოცულობა - 50 000 დოლარი; პროექტებისთვის გამოყოფილია 6 თვიანი ვადა.

დანვრილებით: <https://bit.ly/2zQRIXq>

ვადა: 17 ივნისი 2020 წ.

3. მედიის მხარდაჭერის გრანტები NED-საგან

გეოგრაფია- მსოფლიო

NED იწყებს დემოკრატიის და დემოკრატიული ღირებულებების გაძლიერებაზე მიმართული პროექტების მიღებას. განაცხადების წარდგენა შეუძლიათ დამოუკიდებელ მედია ორგანიზაციებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ასოციაციებს რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა ქვეყანაში-გარდამავალი დემოკრატიის, ახალგაზრდა დემოკრატიის, ნახევრად ავტორიტარული რეჟიმის ან რეპრესიული რეჟიმის მქონე ქვეყნებში.

ფონდი დაინტერესებულია შემდეგი წინადადებებით: ადამიანის უფლებები და კანონი; ინფორმაციის თავისუფლების და მედიარესურსების მხარდაჭერა; საზოგადოებრივი ინიციატივების და სამოქალაქო ორგანიზაციების მხარდაჭერა; სამოქალაქო წიგნიერების მხარდაჭერა; კონფლიქტების გადაჭრის ხელშეწყობა; გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების მხარდაჭერა; მსოფლიო საბაზრო ეკონომიკის მხარდაჭერა.

გრანტის მოცულობა დამოკიდებული პროექტის ხანგრძლივობასა და სფეროზე. საშუალო გრანტი გათვლილია 12 თვეზე და 50 000 დოლარის ბიუჯეტზე.

დანვრილებით: <https://bit.ly/35IAITV>

ვადა: 19 ივნისი 2020 წ.

4. მიგრაციის, მრავალფეროვნების და სოციალური ინტეგრაციის თემაზე შექმნილი ფილმების ფესტივალი

გეოგრაფია: მსოფლიო

ვიდეოების ახალგაზრდული ფესტივალი PLURAL+ დაფინანსებულია UNAOC-ის და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის IOM მიერ .

25 წლამდე ახალგაზრდებს შეუძლიათ წარადგინონ ფილმები მიგრაციის, მრავალფეროვნების და სოციალური ინტეგრაციის თემაზე. ქრონომეტრაჟი არ უნდა აღემატებოდეს 5 წუთს, უნდა ახლდეს ინგლისურენოვანი სუბ-ტიტრი, ფილმზე მუშაობა კი უნდა იყოს დასრულებული 2018 წლის 31 დეკემბრის შემდეგ.

კონკურსი იმართება სამ ასაკობრივ კატეგორიაში. ასევე გაიცემა ჯილდო ქსენოფობიის აღკვეთისთვის, „მომავალი, რომლისკენაც მივილტვით“ და ჯილდო #forSafeWorship-ის კატეგორიაში. გამარჯვებულები მიიღებენ სრულ დაფინანსებას 2020 წლის ბოლოსთვის მაროკოში დაგეგმილ დაჯილდოების ცერემონიაზე დასასწრებად.

დანვრილებით: <https://bit.ly/2yDOo15>

ვადა: 19 ივნისი 2020 წ.

5. მიგრაციის შესახებ შექმნილი ფილმების ფესტივალი

გეოგრაფია: მსოფლიო

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ორგანიზებას უწევს ყოველწლიურ ფესტივალს მიგრაციის თემაზე შექმნილი ფილმებისთვის, რომელიც 28 ნოემბრიდან 18 დეკემბრამდე ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში გაიმართება.

ფესტივალზე ნამუშევრების წარდგენა შეუძლიათ როგორც გამოცდილ ისე დამწყებ კინემატოგრაფისტებს. ფესტივალზე წარსადგენი ფილმების თემატიკა უნდა ასახავდეს მიგრაციასთან დაკავშირებულ იმედებს და სირთულეებს, მიგრანტების წვლილს იმ ქვეყნების ცხოვრებაში, რომელშიც გადავიდნენ საცხოვრებლად.

მოკლემეტრაჟიანი ფილმების ხანგრძლივობა – 15-40 წთ, სრულმეტრაჟიანი - 41 წთ-ზე მეტი, ფილმები უნდა იყოს გამოქვეყნებული – 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ.

გამარჯვებულები მიიღებენ ფულად პრიზს.

დანვრილებით: <https://bit.ly/36ZqWYH>

ვადა: 21 ივნისი 2020 წ.

6. Youth4Regions ევროკავშირის პროგრამის ახალი შესაძლებლობები ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის

გეოგრაფია - აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა. ასევე ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნები

ევროკომისიის პროგრამა Youth4Regions ეხმარება სტუდენტ ჟურნალისტებს და ახალგაზრდა სპეციალისტებს უკეთ გაიგონ რას აკეთებს ევროკავშირი მათ ქვეყნებში. მოთხოვნები: ინტერესი ევროკავშირის პროექტების და პოლიტიკის მიმართ; გამოცდილება ჟურნალისტიკაში- მუშაობა ან სწავლა არანაკლებ 2 წლისა; ასაკი 18-დან 30 წლამდე. სასწავლო პროგრამის ფარგლებში 11-დან 16 ოქტომბრამდე მონაწილეები გაემგზავრებიან ბრიუსელში.

რას სთავაზობს პროგრამა:

ტრენინგი ჟურნალისტიკის და ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის შესახებ;

თქვენივე ქვეყნებიდან ცნობილი ჟურნალისტების მენტორინგი;

ცნობილი ჟურნალისტების გვერდიგვერდ მუშაობის შესაძლებლობა;

ევროკავშირის პრესცენტრის და ინსტიტუტების ნახვის შესაძლებლობა;

პრეს-მოგზაურობებში ჟურნალისტის სტატუსით მონაწილეობის შესაძლებლობა.

კომისია ფარავს მგზავრობის და საცხოვრებელ ხარჯებს. ძირითადი კვება ასევე იქნება უზრუნველყოფილი.

დანვრილებით: <https://bit.ly/2Lanfpb>

ვადა: 13 ივლისი 2020 წ.

7. ADAMI Media Prize 2020

გეოგრაფია: აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა

კონკურსი ADAMI Media Prize იწყებს განაცხადების მიღებას აღმოსავლეთ ევროპაში კულტურული მრავალფეროვნების თემების კონკურსზე, რომელიც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით იმართება. წარსადგენი ნამუშევრების ჟანრები: მხატვრული და დოკუმენტური, გასართობი და საინფორმაციო პროგრამები, ონლაინ-ვიდეო და ვებ გვერდი. მონაწილეობა შეუძლიათ: სატელევიზიო და ონლაინ მედიების ჟურნალისტებს, ოპერატორებს, პროდიუსერებს, რეჟისორებს.

კონკურსზე შესაძლებელია იმ ნამუშევრების წარდგენა, რომელთა პრემიერა შედგა/შედგება 2018 წლის 1 ოქტომბრიდან 2020 წლის 15 ივლისამდე. გამარჯვებულები მიიღებენ ფულად პრიზებს, გრანტებს სტაჟირებაზე და სხვა პროფესიულ შესაძლებლობებს.

6 საპრიზო კატეგორია:

- გასართობი კონტენტი (გასართობი ფილმები და პროგრამები).
- ინფორმაცია (სამეცნიერო-პოპულარული ფილმები და პროგრამები).
- ახალი ამბები და მოკლე სამეცნიერო-პოპულარული ფილმები.
- «ახალგაზრდა ADAMI».
- ვებ გვერდი.
- ვებ ვიდეო.

დანვრილებით: <https://bit.ly/2z1x2eG>

ვადა: 15 ივლისი 2020 წ.

8. ფოტოკონკურსი IPA იწყებს განაცხადების მიღებას

გეოგრაფია: მსოფლიო

The International Photography Awards (IPA) იღებს განაცხადებს ყოველწლიურ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. 13 ნომინაცია პროფესიონალი ფოტოგრაფებისთვის და ამდენივე სამოყვარულო ფოტოგრაფებისთვის. მთავარი პრიზი - 10 000 დოლარი და სტატუსი „წლის ფოტოგრაფი“.

სხვა პრიზები: „წლის აღმოჩენა“ და ფულადი პრიზი 5 000 დოლარი, სხვა ნომინაციებში პროფესიონალი ფოტოგრაფებისთვის გათვალისწინებულია 1000 დოლარიანი ფულადი ჯილდო, მოყვარულეებისათვის კი 500 დოლარიანი.

სარეგისტრაციო შენატანი მერყეობს 15-დან 60 დოლარამდე.

დანვრილებით: <https://bit.ly/36ZMg0a>

ვადა: 31 ივლისი 2020 წ.

9. Oxygen Project ეკოლოგიური საკითხებით დაინტერესებული ჟურნალისტებისათვის

გეოგრაფია: მსოფლიო

Oxygen Project იღებს განაცხადებს ოკეანეების ეკოლოგიაში ახალი პრობლემის- დრმა წყლებში სასარგებლო წიაღისეულის გათხრების შესახებ. ეკოლოგიის თემაზე მომუშავე ჟურნალისტებს შეუძლიათ წარადგინონ პროექტები და მიიღონ თემაზე მუშაობის ფინანსური შესაძლებლობა.

იდეები შეიძლება მოიცავდეს: ახალ ამბებს, ანალიტიკურ სტატიებს, გამოძიებას და ა.შ. მზა მასალების მოცულობა უნდა იყოს 800-დან 2 000 სიტყვამდე და მოიცავდეს მინიმუმ 2-3 ციტატას ორიგინალი ინტერვიუდან.

განაცხადების მიღება ინგლისურ ან ესპანურ ენაზე, 1 დეკემბრამდე.

დანვრილებით: <https://bit.ly/306CWq1>

10. პულიცერის ცენტრის გრანტები კორონავირუსით გამონვეული კრიზისის გასაშუქებლად

გეოგრაფია - მსოფლიო

პულიცერის ცენტრი აცხადებს კონკურსს პროექტებზე, რომლებიც მიმართულია ახალი კორონავირუსის შესახებ ინფორმაციის გაშუქებაზე (Coronavirus News Collaboration Challenge).

ჟურნალისტებს შეუძლიათ წარმოადგინონ პროექტების იდეები, რომლებიც გულისხმობს ინოვაციურ მიდგომებს. პროექტი უნდა მოიცავდეს სხვადასხვა ჟურნალისტის თუ მედიის რესურსების გაერთიანებას, მეტი აუდიტორიის მოზიდვის მიზნით. მზა მასალა რამდენიმე პლატფორმაზე უნდა გამოქვეყნდეს.

პროგრამა განსაკუთრებით დაინტერესებულია პროექტებით, რომლებიც ფოკუსირებულია სისტემური პრობლემების გაშუქებაზე.

გრანტის მოცულობა 5-დან 30 ათას დოლარამდეა. განაცხადები მიიღება ღია კარის პრინციპით.

დანვრილებით: <https://bit.ly/2x7eGbd>

11. ინიციატივა Artists Against an #Infodemic იღებს ვიზუალურ კონტენტს

გეოგრაფია: მსოფლიო

CatchLight, Dysturb და The Everyday Projects ორგანიზებას უწევენ ინიციატივას «ხელოვანები ინფოდემიის წინააღმდეგ» (Artists Against an #Infodemic). ინიციატივის ფარგლებში იღებენ კონტენტს ვიზუალური ჟურნალისტიკის ჟანრში.

ინიციატივის მიზანია აამაღლოს საზოგადოების ინფორმირების დონე და ხელი შეუწყოს COVID 19-თან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებას, - განსაკუთრებით იქ სადაც მისი სიმცირეა.

მიიღება კონტენტი ინგლისურ, ესპანურ და ფრანგულ ენებზე. შერჩეული ნამუშევრების ავტორები მიიღებენ 500 დოლარს, ხოლო მათი ნამუშევრები იქნება წარმოდგენილი გლობალური კამპანიის ფარგლებში.

დანვრილებით: <https://bit.ly/3cBhMml>

განაცხადები მიიღება უწყვეტ რეჟიმში.

12. სასტიპენდიო პროგრამა გერმანიაში

გერმანული აკადემიური გაცვლითი პროგრამა (German Academic Exchange Service (DAAD)) მხარდაჭერას სთავაზობს სტუდენტებს ადა ახლგაზრდა სპეციალისტებს, მათ შორის მედიის მიმართულებით.

განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ახალგაზრდა სპეციალისტებს განვითარებადი ქვეყნებიდან.

სასწავლო დაწესებულებების ჩამონათვალშია (<https://bit.ly/2z5D3XS>) ლაიფციგის უნივერსიტეტი, ვაიმარის ბაუჰაუსის უნივერსიტეტი და კიოლნის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტი.

განცხადებები მიიღება სპეციალისტებისაგან, რომლებმაც დაასრულეს უმაღლესი სასწავლებლები ბოლო 6 წლის განმავლობაში და აქვთ პროფესიით მუშაობის არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება.

დანვრილებით: <https://bit.ly/3cw2Zts>

ვადა: დამოკიდებულია სასწავლო დაწესებულებაზე

13. თანამშრომლობის ხაზი COVID-19

გეოგრაფია: მსოფლიო

Hostwriter, ევროპის ჟურნალისტიკის ცენტრთან პარტნიორობით COVID-19-ით გამონვეულ პანდემიაზე საპასუხოდ აცხადებს ახალი ინსტრუმენტის - COVID-19 Collaboration Wire ამოქმედებას. ახლა როდესაც სახელმწიფო საზღვრები დაკეტილია, პროფესიული ვიზიტები გადადებულია, ბევრი რედაქცია მოკლებულია შესაძლებლობას საკუთარი კორესპონდენტები საზღვარგარეთ გაგზავნოს.

ამავდროულად ადგილობრივი ჟურნალისტები დაწესებული შეზღუდვებისა და შემოსავლების კლების გამო ძლიერ შეწუხებული არიან. COVID-19-ის თანამშრომლობის ხაზის მიზანია – დააკავშიროს რედაქტორები და ჟურნალისტების მთელი მსოფლიოდან ფაქტების გამოძიების, გადამონშების და სხვადასხვა რეგიონიდან ახალი ამბების მომზადების მიზნით.

დანვრილებით: <https://bit.ly/3cvOt4L>

14. საგრანტო კონკურსი Black Sea Trust for Regional Cooperation-საგან COVID-19-ის საპასუხოდ

გეოგრაფია - აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო, მოლდოვა, რუმინეთი, უკრაინა

Black Sea Trust for Regional Cooperation გთავაზობთ კონკურსს, რომლის მიზანია საზოგადოებრივი ინიციატივების მობილიზება შავი ზღვისპირა რეგიონის მასშტაბით. პროექტები უნდა იყოს მიმართული კორონოვირუსის მიერ გამონვეული კრიზისის და საზოგადოებაზე მისი ნეგატიური გავლენის შემცირებაზე, ასევე, ეფექტურ მართვაზე, დემოკრატიაზე, კანონის უზენაესობასა და მედიის თავისუფლებაზე.

ბიუჯეტი - 25 000 დოლარი.

განაცხადები მიიღება რეგულარულად.

დანვრილებით: <https://bit.ly/2WctQ8O>

15. პანდემიის გავლენები ადგილობრივ თემზე - საგრანტო პროექტები National Geographic -გან

გეოგრაფია: მსოფლიო

National Geographic-მა შექმნა ფონდი ჟურნალისტებისათვის- COVID-19 Emergency Fund for Journalists. დაფინანსების ოდენობა მერყეობს 1 000-დან 8 000 დოლარამდე. პროექტები უნდა ეხებოდეს პანდემიასთან ბრძოლასა და მსოფლიო კრიზისის გავლენას ადამიანებზე.

წახალისებულია განაცხადები, რომლებიც გათვლილია კონტენტის ლოკალური და ჰიპერ ლოკალურ გავრცელებაზე. მასალა უნდა იყოს წარმოდგენილი ინგლისურ ენაზე.

განაცხადები მიიღება რეგულარულად.

დანვრილებით: <https://bit.ly/3frOFod>

16. პანდემიის დროს ჟურნალისტების უსაფრთხოების კურსი Thomson Foundation-საგან

გეოგრაფია: მსოფლიო

“უსაფრთხოება COVID-19 გაშუქებისას“- კურსს ორგანიზებას უწევენ Thomson Foundation, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია (International Federation of Journalists) და ჟურნალისტიკის ევროპული ცენტრი Dart.

კურსი მოიცავს 7 სექციას და აერთიანებს ინფორმაციას წინა ეპიდემიების შესახებ. მოიცავს ჟურნალისტური ნამუშევრების საუკეთესო მაგალითებს.

მონაწილეებს მიიწვევს ინფორმაციას თუ როგორ მოემზადონ COVID-19 გაშუქებისთვის, გააცნობენ ზომებს მუშაობისას ინფიცირების რისკების მინიმუმამდე შესამცირებლად.

კურსის გავლა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, თქვენთვის მისაღები სისწრაფით.

დანვრილებით: <https://bit.ly/2SDVJob>

17. IWMF-ის ფინანსური მხარდაჭერა

გეოგრაფია - მსოფლიო

მედიაში დამსქმებული ქალების საერთაშორისო ფონდი იღებს განაცხადებს მხარდაჭერის მოსაპოვებლად, პროექტის „Journalism Relief Fund“ ფარგლებში.

განაცხადების შეტანა შეუძლიათ ჟურნალისტ ქალებს, რომლებიც ფინანსურ პრობლემებს წააწყდნენ. ფონდი ეხმარება ჟურნალისტებს, რომლებმაც დაკარგეს სამსახური, გაათავისუფლეს ან სასწრაფოდ სჭირდებათ მხარდაჭერა.

მიიღება განაცხადები იმ ჟურნალისტებისაგან, რომლებსაც ამ წუთას სხვა შემოსავლის წყარო არ გააჩნიათ და სრულ განაკვეთზე არ უმუშავიათ მინიმუმ 6 თვე და რომელთა ცხოვრებაზეც პირდაპირი გავლენა იქონია გლობალურმა ჯანდაცვის კრიზისმა.

შერჩეული ჟურნალისტები მიიღებ მცირე გრანტებს 2 000 დოლარამდე.

განაცხადების მიღება მიმდინარეობს.

დანვრილებით: <https://bit.ly/3aPuga1>

18. ჯგუფი COVID-19 და მედია

ჯგუფი COVID-19 და ბალტიის მედია – Facebook სივრცე რომელსაც ლატვიის, ლიეტუვას და ესტონეთის ჟურნალისტებისთვის არის, შესაძლოა აღმოჩნდეს სასარგებლო სხვა ქვეყნის ჟურნალისტებისთვისაც, რომლებიც COVID-19 თემაზე მუშაობენ. აქ თქვენ ნახავთ საერთაშორისო ექსპერტების რჩევებს, სასარგებლო ბმულებს, ინფორმაციას გრანტებისა და ვებინარების შესახებ და ა.შ. ინფორმაცია შერჩეული მედიის განვითარების ბალტიის ცენტრის მიერ.

დანვრილებით: <https://bit.ly/3aTo2pP>

შეძელით თუ არა ჩვენ მიერ მოწოდებული შესაძლებლობების გამოყენება?
გთხოვთ, მოგვწერეთ info@baltic.media ან **შეავსეთ მოკლე კითხვარი**
<https://bit.ly/2XkyFNN> (რუსულ ენაზე), <https://bit.ly/2XMclCl> (ინგლისურ ენაზე)
თქვენი გამოხმაურება დაგვეხმარება ამ საქმიანობის გაგრძელებაში!

© **Baltic Centre for Media Excellence, 2020**

ბიულეტენი შედგენილია დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ გავრცელების საფუძველზე.

შემდგენები:

ალინა რუდინა, არშალუის მურადიანი, დიანა ხოდულინა, ევგენია ოლინიკი, კატრინა ტეტერე-ფროლევა, მარტინშ მურნიეკსი, ნაილია ალიევა, თამარ ხორბალაძე, ვიქტორ გოტისანი.

მასალების ქართულენოვანი თარგმანი უზრუნველყოფილია BCME -ს წევრი ჟურნალისტიკის რესურსცენტრის მიერ- JRC. BCME თარგმანის კორექტულობაზე პასუხისმგებლობას არ იღებს. ინფორმაცია დონორების და საგრანტო პროგრამების შესახებ არ არის ამონურვადი. შემდგენლები იტოვებენ უფლებას შეარჩიონ მეტად მნიშვნელოვანი ასპექტები ბიულეტენში გამოსაქვეყნებლად. BCME გირჩევთ საპროექტი განაცხადების, დონორებთან კომუნიკაციისას ან სხვა საკითხების დროს, იხელმძღვანელოთ ბიულეტენში მითითებული პირველადი წყაროებით.

ბიულეტენში გამოყენებულია მასალები შემდეგი წყაროებიდან:

- artdocfest.com
- poynter.org
- ned.org
- pluralplus.unaoc.org
- filmfreeway.com
- ec.europa.eu
- adamimediaprize.eu
- photoawards.com
- mailchi.mp
- pulitzercenter.org
- catchlight.io
- daad.de
- editors.hostwriter.org
- gmfus.org
- nationalgeographic.org
- thomsonfoundation.edcastcloud.com
- iwmf.submittable.com